ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები



გადახედილი 2019

პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე

ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის
პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობის დაკვეთით შესრულებულ წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს პარტნიორი ინსტიტუტების, მათი წევრი სახელმწიფოების, ან მათთან თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციების ოფიციალურ პოლიტიკას.

წინამდებარე დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირების ან თარგმნის შესახებ ყველა მოთხოვნა უნდა გადაეგზავნოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int). წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია უნდა გადაეგზავნოს ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდობის სფეროში პარტნიორობას.

ყდა და მაკეტი: დოკუმენტებისა და გამოცემების მომზადებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო.

ფოტომასალა: ©ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდობის სფეროში პარტნიორობა და ნაიჯელ სმიტი

ტექსტი: ზარა ლავჩიანი, ჰოუვარდ უილიამსონი

ესკიზები: სვენ რეტორი

წინამდებარე გამოცემის ბეჭდურ და გრამატიკულ რედაქტირებას არ უზრუნველყოფს SPDP-ის სარედაქციო ჯგუფი

© ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2017 წლის ოქტომბერი

გადასინჯულ იქნა 2019 წელს

გამოქვეყნდა ევროპის საბჭოში

შესავალი

როგორ ეხმარება პოლიტიკა ახალგაზრდებს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში? როგორ უწყობს ხელს პოლიტიკა ახალგაზრდებს საზოგადოებაში ინტეგრაციასა და თავიანთი მისწრაფებებისა და პოტენციალის რეალიზებაში? ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი კონცეფციების, პრინციპებისა და გამოწვევების წინამდებარე მიმოხილვა განკუთვნილია იმისთვის, რომ მკითხველს დაეხმაროს ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

გაფრთხილება: ახალგაზრდობის პოლიტიკა რთული სფეროა. ჩვენ ვთავაზობთ მკითხველს გაითვალისწინონ საკუთარი კონტექსტი, რომელიც შეიძლება კიდევ უფრო რთული და ძნელად გასაგებიც კი აღმოჩნდეს! ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ბევრად უფრო მეტი თქმულა და დაწერილა ვიდრე ამ დოკუმენტშია ასახული. ასე რომ, თუ ამ გამოცემას კითხულობთ, იმედი გვაქვს, რომ აქ არ შეჩერდებით! გთავაზობთ, მომავალშიც ისარგებლოთ წინამდებარე დოკუმენტში მითითებული მასალებითა და ევროკომისიასა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდული პარტნიორობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტებით.

განსაზღვრებები
რას წარმოადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკა? რას ემსახურება ის?

ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებული განსაზღვრებები და რეალობა ქვეყნიდან ქვეყანაში, ასევე ერთი ქვეყნის ფარგლებში და დროთა განმავლობაში გამუდმებით იცვლება. მოდით, დავიწყოთ ძირითადი ელემენტების განხილვით.

> *„ახალგაზრდობის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ სტრატეგიას, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობებისა და გამოცდილების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციას და შესაძლებლობას მისცემს მათ, ჩამოყალიბდნენ საზოგადოების აქტიურ და პასუხისმგებლიან წევრებად, ასევე ცვლილების ავტორებად“ (ევროპის საბჭო CM/Rec(2015)3)*

რის გაკეთება შეუძლია ახალგაზრდობის პოლიტიკას ახალგაზრდებისთვის? ზოგადად, ახალგაზრდობის პოლიტიკა ახალგაზრდების ცხოვრებაში სხვადასხვა და ურთიერთდაკავშირებულ სფეროებს ეხება: კეთილდღეობა, განათლება, დემოკრატიული მონაწილეობა და ინტეგრაცია. ახალგაზრდობის პოლიტიკას შეუძლია ახალგაზრდებს შესათავაზოს ცოდნის, უნარების და შეხედულებების განვითარების შესაძლებლობა, რითაც ისინი შეძლებენ იპოვონ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში, იყვნენ დამოუკიდებელი, შეასრულონ საკუთარი როლი სამოქალაქო საზოგადოებასა და შრომის ბაზარზე. თავის მხრივ, ახალგაზრდობის პოლიტიკის დებულებები შეიძლება აისახოს ახალგაზრდებისთვის გართობა-დასვნების შინაარსიანი ღონისძიებების ჩატარებასა და მათთან დაკავშირებული ისეთი პოზიტიური ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორიცაა სოლიდარობა, ჯგუფის ერთიანობა, სხვ., ან ჯანსაღი ცხოვრების სტილის ხელშემწყობ აქტივობებში, სამეწარმეო პროგრამების განხორციელებაში, ახალგაზრდებზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებასთან წვდომაში, და სხვა. ახალგაზრდულმა პოლიტიკამ შეიძლება შექმნას შესაძლებლობები იმისათვის, რომ ახ-

ალგაზრდებმა საკუთარი „სახლი“ იპოვონ ღირებულებათა სისტემაში. ახალგაზრდობის პოლიტიკას შეუძლია ამ პროცესში ხელი შეუწყოს სოციალურ ერთიანობასა და დემოკრატიული საზოგადოებების განვითარებას.

ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდებზე ზეგავლენის მქონე ყველა განზომილებას, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, ბინათმოწყობა, დასაქმება/მეწარმეობა, ფორმალური განათლება, და სხვა. ასევე, ისეთ გამჭოლ საკითხებს, როგორიცაა სოციალური ინტეგრაცია, ახალგაზრდების მონაწილეობა, გენდერული თანასწორობა, სხვა.

ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება ორიენტირებული იყოს კონკრეტულად ახალგაზრდებზე, გართობა-დასვენების, მობილობის, მოხალისეობის, ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელების, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობისა და ჩართულობის პლატფორმების დანერგვის გზით. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ახალგაზრდობის პოლიტიკის დაკავშირება სხვა პოლიტიკის საკითხებთან, რომლებიც ახალგაზრდებსაც ეხებათ.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკის პოზიტიურ ხედვას. თუმცა, ახალგაზრდობის პოლიტიკა ასევე უკავშირდება რეგულირებისა და კონტროლის ზომებს, იძულებას, დისციპლინასა და ზოგჯერ, დამსჯელ ღონისძიებებსაც კი. ნეგატიური ახალგაზრდობის პოლიტიკის მაგალითია შემოსავლის მიღების სანაცვლოდ დაუსაქმებელი ახალგაზრდის მიერ იძულებითი საქმიანობის განხორციელება ან მართლმსაჯულების ზომების განხორციელება პატიმრობაში მყოფ ახალგაზრდებთან მიმართებაში.

ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება ითვალისწინებდეს ღონისძიებებს ან პროგრამებს როგორც ყველა ახალგაზრდასთან, ისე ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებაში, როგორიცაა ეკონომიკურად მოწყვლადი ან სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები.

ძირითადი კონცეფციები

ტერმინში „ახალგაზრდობის პოლიტიკა“ პირველი სიტყვა უკავშირდება ახალგაზრდობას. ამიტომ, იმის გააზრება, თუ რას გულისხმობს სიტყვა „ახალგაზრდობა“ სხვადასხვა კონტექსტში, შეიძლება განსაზღვრავდეს ახალგაზრდობის პოლიტიკის რეგულირების სფეროებს.

არ არსებობს საყოველთაო შეთანხმება ტერმინ „ახალგაზრდობასთან“ მიმართებაში. ახალგაზრდობა სოციალურად განსაზღვრული ცნებაა და უკავშირდება ავტონომიურობაზე გადასვლის ურთულეს პერიოდს, რომელიც მოიცავს გზას ბავშვობიდან ზრდასრულობამდე. ახალგაზრდების განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ევროკავშირის დონეზე სტატისტიკური მიზნებით ხშირად ირჩევენ 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს. ერასმუს+ პროგრამა სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს 13-30 წლის ასაკობრივ ჯგუფში შემავალ ახალგაზრდებს, დასაბუთებული გამონაკლისების გათვალისწინებით. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის აქტივობები ხელმისაწვდომია 18-იდან 30-წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის, თუმცა დასაბუთებული გამონაკლისები დაშვებულია.

ტერმინში „ახალგაზრდობის პოლიტიკა“ მეორე სიტყვა არის პოლიტიკა, რაც უკავშირდება პროცესს, რომლის მეშვეობითაც ხდება სახელმწიფო რესურსების გამოყოფა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ახალგაზრდობის პოლიტიკაზე საუბრისას, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა იგულისხმება რეალურად: ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების პროცესი, სფეროები, რომლებზეც ის აკეთებს აქცენტს ან რომლებსაც ის არეგულირებს, მისი გამოყენება, თუ ახალგაზრდებისთვის მისი გაცნობის გზები (უილიამსონი, 2017).

„ახალგაზრდობის“ რა განმარტება გამოიყენება თქვენს ქვეყანაში?
ამ განმარტებას ყველა იზიარებს?

ახალგაზრდობასთან დაკავშირებით რა ძირითადი წარმოდგენა არსებობს თქვენს ქვეყანაში?
რომელი ხუთი სიტყვა აღწერს ახალგაზრდობას?

მიდგომები

ახალგაზრდობის პოლიტიკა ასახავს, თუ რას ფიქრობენ მთავრობები ან გადაწყვეტილების მიმღები პირები ახალგაზრდა ადამიანებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პოლიტიკის ღირებულებითი ჩარჩოს გათვალისწინება, რადგან ის ზემოქმედებას ახდენს ყველა დონეზე, ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების პირველივე ნაბიჯებით დაწყებული და ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებებითა და პროგრამებით დამთავრებული. ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდობის პოლიტიკას შესაძლოა საფუძვლად ეს პრინციპები და ღირებულებები ედოს, თუმცა, სხვა შემთხვევებში, ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება მათ სრულებით არ ითვალისწინებდეს. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ახალგაზრდობის პოლიტიკის პრინციპები შეიძლება მოიცავდეს სოციალურ პროგრესს, სოლიდარობას, სოციალურ სამართლიანობას, აქტიურ მოქალაქეობას, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

პოლიტიკასთან დაკავშირებული მიდგომები და მეთოდები მრავალფეროვანია. ზოგი რეგულაციაზეა ორიენტირებული, ზოგიც მეტ თავისუფლებას ანიჭებს უპირატესობას. ზოგი პრევენციას ისახავს მიზნად, ზოგიც უკვე არსებულ პრობლემაში ჩარევას ითვალისწინებს. ზოგი პროაქტიულია - ზოგიც რეაქტიული.ნებისმიერი მიდგომის გამოყენებას მოჰყვება მრავალფეროვანი ზომების მიღება, რომელთა საფუძველი და შედეგები ზედმიწევნით უნდა იქნას გათვალისწინებული. მაგალითად, არსებობს განსხვავება წინასწარ დადგენილი, მოდელზე მორგებული პროექტებისთვის გამოყოფილ და ფინანსებასა და ახალგაზრდების ხელმძღვანელობით განხორციელებული შემოქმედებითი პროექტებისთვის გამოყოფილ სახსრებს შორის.

ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება იყოს კომპლექსური ან ფრაგმენტული, კოორდინირებული ან იზოლირებული, ორიენტირებული რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე ან მეინსტრიმული (საყოველთაო), შეესაბამებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს სხვა სექტორების პოლიტიკას. ზოგიერთ ქვეყანაში, ახალგაზრდობის პოლიტიკა სახელმწიფოს განვითარების პროგრამის ნაწილია, სხვა ქვეყნებში კი

ის ეფუძნება რეაგირებას ახლად გამოვლენილ პრობლემებზე. ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება ეფუძნებოდეს ან უგულებელყოფდეს ახალგაზრდების განვითარების თეორიულ კონცეფციებს, შეესაბამებოდეს ან არ ითვალისწინებდეს საერთო ევროპულ მიზნებს. მასზე შეიძლება შემზღუდველ ან გამაძლიერებელ ზემოქმედებას ახდენდეს ეკონომიკური რყევები, ის შეიძლება ეყრდნობოდეს მონაცემთა მყარ ბაზას ან არაოფიციალურ მტკიცებულებებს. ერთნაირი სოციო-პოლიტიკური სისტემის მქონე ევროპის ქვეყნებს უმეტესწილად ანალოგიური მიდგომები გააჩნიათ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასთან და განხორციელებასთან მიმართებაში, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობის პოლიტიკის რეგულირების სფეროებისა და პრიორიტეტების თვალსაზრისით.

ევროპის საბჭო მხარს უჭერს ისეთ ახალგაზრდობის პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ სტანდარტებს, ფოკუსირებულია შესაძლებლობაზე, ითვალისწინებს მის შემუშავებასა და განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობას, ქმნის სწავლის, შესაძლებლობების გამოყენებისა და გამოცდილების მიღების პირობებს და ემყარება მონაცემთა ეფექტიან შეგროვებას. ევროკავშირი, თავისი ახალგაზრდული სტრატეგიის მეშვეობით, მხარს უჭერს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ახალგაზრდებისთვის უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის და ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან მონაწილეობას. ამგვარი პოლიტიკა ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების როლს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალსექტორულ მიდგომას და ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა შეგროვების და ახალგაზრდებთან დიალოგის საჭიროებაზე.

თქვენს კონტექსტში, როგორ განიხილება ახალგაზრდობა გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ? განიხილება თუ არა ის როგორც რესურსი, ან როგორც „მომავალი“, თუ როგორც პრობლემა, რომელიც მოგვარებას ან კონტროლს საჭიროებს? რომელ ღირებულებებს ეფუძნება ახალგაზრდობის პოლიტიკა თქვენს კონტექსტში? რა არის თქვენი ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნები და რეგულირების ძირითადი სფეროები? შესაბამისობაშია თუ არა ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები და ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნები?



ახალგაზრდობის პოლიტიკის აქტორები და საკანონმდებლო ბაზა

ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებზე, სხვადასხვა დონეზე, თუ სექტორების მიხედვით, შეიძლება სხვადასხვა ტიპის ხელისუფლება მუშაობდეს. ზოგიერთ ქვეყანაში, ახალგაზრდობის პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა. სხვა ქვეყნებში კი ის რეგიონული ხელისუფლების პრეროგატივაა, მაშინ როდესაც ცენტრალური ხელისუფლება უფრო ფართო მიზნების შემუშავებასა და მათი განხორციელების თანამიმდევრულობას უზრუნველყოფს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახალგაზრდობის პოლიტიკას ადგილობრივ დონეზე ახორციელებენ. ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ სამინისტროს (ცალკე, ან ისეთ სექტორებთან ერთად, როგორიცაა კულტურა, განათლება, სპორტი, ოჯახი და ბავშვები, სოციალური საკითხები, მედია, მართლმსაჯულება, ჯანდაცვა ან საზოგადოება), სახელმწიფო სააგენტოს, ახალგაზრდობის საკითხებზე სახელმწიფო მდივანს, ახალგაზრდობის დეპარტამენტს ან ახალგაზრდობის პოლიტიკის სამმართველოს. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდულ სამსახურებს/ოფიცრებს, მომხსენებლებს, ახალგაზრდულ კომიტეტებს, რომლებსაც გააჩნიათ უშუალოდ ან სხვა სექტორებთან პარტნიორობით მოქმედების უფლებამოსილება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების კუთხით გადამწყვეტ როლს ასრულებენ, ახალგაზრდობის პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის, შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვა აქტორებმაც, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭოები, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანი-

ზაციები, დაინტერესებული ჯგუფები, ახალგაზრდული ჯგუფები, ახალგაზრდული მუშაკები, ახალგაზრდობის პრობლემატიკის მკვლევარები, ახალგაზრდები, სკოლები, მასწავლებლები, დამსაქმებლები, სამედიცინო პერსონალი, სოციალური მუშაკები, რელიგიური ჯგუფები, მედია, სხვა.

საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში. ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს ერთი სამართლებრივი აქტით. სხვა შემთხვევებში, ახალგაზრდობის პოლიტიკის ელემენტები შეიძლება აისახოს რამდენიმე სექტორის მარეგულირებელ დოკუმენტებში (კანონი, პაქტი, რეზოლუცია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, სახელმწიფო კონცეფცია, სხვ), ერთი საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში. ეს უკანასკნელი ხშირად განიხილება, როგორც ახალგაზრდული საკითხების ინტეგრაცია (Youth Mainstreaming). მიუხედავად ამისა, თუ აღნიშნული დოკუმენტები და შესაბამისი ინიციატივები მკაფიოდ და კონკრეტულად არ უკავშირდება ახალგაზრდებს, რთულია ისაუბრო კოორდინირებულ ახალგაზრდობის პოლიტიკაზე, მაშინაც კი თუ ამგვარი პოლიტიკა მაინც ახდენს ზემოქმედებას ახალგაზრდებზე.

რომელი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს ახალგაზრდობის პოლიტიკას თქვენს ქვეყანაში?

ახალგაზრდობის პოლიტიკის მარეგულირებელი რომელი სტრუქტურები არსებობს თქვენს ქვეყანაში?



ახალგაზრდების მონაწილეობა

ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ პოლიტიკის სამიზნე პირებს გააჩნდეთ აზრის გამოთქმის საშუალება მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ახალგაზრდებს უნდა გააჩნდეთ უფლება, საშუალება, მხარდაჭერა, შესაძლებლობები და სივრცე, რათა მათ, როგორც პარტნიორებმა, და არა მხოლოდ როგორც სერვისების ბენეფიციარებმა, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობის პოლიტიკაში: მის შემუშავებასთან დაკავშირებით რჩევების მიცემის ან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის, მომსახურების გაწევის ხელშეწყობის, პოლიტიკის ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასების გზით. ჩართულობის შემთხვევაში, ახალგაზრდები გრძნობენ პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ხოლო შექმნილი მომსახურებები უკეთ ასახავს მათ მისწრაფებებს ან უფლებებს. ამ შემთხვევაში იზრდება აღნიშნული პოლიტიკის წარმატების შანსი!

მიუხედავად ამისა, ყველა ახალგაზრდა ერთნაირად როდი იღებს მონაწილეობას. ახალგაზრდობის პოლიტიკის მაქსიმალური ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ინდივიდუალურად ადაპტირებული, მრავალფეროვანი და მომხმარებელზე ორიენტირებული მონაწილეობის მექანიზმები, რომლებიც, მაგალითად, განხორციელდება ახალგაზრდულ საბჭოებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან დიალოგის, ახალგაზრდებთან და სხვადასხვა შესაბამის აქტორებთან კონსულტაციების, ციფრული მონაწილეობის გზით. კიდევ ორი მაგალითი:

- ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის თანამმართველობის სისტემა, სადაც მთავრობებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სამუშაო პროგრამის შესახებ.
- ახალგაზრდული დიალოგი ევროკავშირში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, რომლის ფარგლებშიც ხდება ახალგაზრდების მიერ გამოთქმული შეხედულებების შეგროვება, ერთობლივად განხილვა და ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე პოლიტიკაში გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია (ძალაუფლებრივი) ურთიერთობების საკითხი, ერთის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და, მეორეს მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძოდ, ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და თავად ახალგაზრდებს შორის. მაგალითად, მთავრობამ შეიძლება იმოქმედოს როგორც სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორმა და მასთან ერთად გაინაწილოს ძალაუფლება, ან მან შეიძლება კონტროლი გაუწიოს ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობას, ან შეიძლება არ ჩაერიოს ან საერთოდ არ შეუწყოს ხელი მათ საქმიანობას (ადაპტირებულია ლორიტზენისგან, 2008წ).





ვინ უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა შესაბამის აქტორს ჰქონდეს თავისი აზრის გამოთქმის უფლება და ზემოქმედების მოხდენა შეეძლოს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე?

ჩართულნი არიან თუ არა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები ახალგაზრდობის პოლიტიკაში? როგორ?

ჩართულნი არიან თუ არა ახალგაზრდები ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში? ჩართულია თუ არა ყველა ახალგაზრდა? როგორ?

არსებობს თუ არა ახალგაზრდობის ეროვნული საბჭო ან სხვა ტიპის სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს?

ახალგაზრდობის პოლიტიკის რეალობად ქცევა

ევროპულ ქვეყანას ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების საკუთარი მექანიზმი გააჩნია. ზოგადად, ცენტრალური მთავრობა თავის როლს ასრულებს პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავებაში, როდესაც ის ქმნის (მაგალითად, კანონმდებლობისა და ბიუჯეტის მეშვეობით) პირობებს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საქმიანობისთვის და საბოლოოდ, ზედამხედველობას უწევს და აფასებს პოლიტიკის მიზნების განხორციელებას. ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნების შემუშავებისას, ხელისუფლება ითვალისწინებს წინა პოლიტიკის შემუშავებისას მიღებულ გამოცდილებასა და შედეგებს, ასევე შესაბამის კვლევით მონაცემებს. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია შეიმუშავოს ზოგადი მიზნები. მას ზოგჯერ შეუძლია ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვოს სპეციფიკური მიზნების ფორმულირება. მეორე ნაბიჯი დაკავშირებულია სტრუქტურებისა და რესურსების უზრუნველყოფასთან, და ის შეიძლება ითვალისწინებდეს კონკრეტული კანონების მიღებას მომსახურებების ან დაფინანსების მექანიზმების განსაზღვრის მიზნით. ეს ქმნის პირობებს აქტივობების, ინტერვენციებისა და მომსახურებების განსახორციელებლად. და ბოლოს, სახელმწიფო აფასებს შედეგებს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, უნდა შეგროვდეს ემპირიული მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში პოლიტიკასთან დაკავშირებული მიდგომები, ვის შეეხო ისინი, რა შედეგი გამოიღო, რათა განისაზღვროს, რა ცვლილებები უნდა გატარდეს საჭიროების შემთხვევაში. ამ ციკლის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის, მიზნების ფორმულირებასთან ერთად, საჭიროა მათი შეფასების სტანდარტების განსაზღვრა: მიზნები უნდა იყოს არაორაზროვანი, იდეოლოგიურად მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გაზომვადი და არსებული რესურსების თანაზომადი (სიურალა, 2006). პროცესში ასევე უნდა ჩაერთონ ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვა აქტორები, ასევე მთავრობა.

ჩვენ მრავალსექტორულ ახალგაზრდობის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც ახალგაზრდულ სექტორსა და სხვა სექტორებს შორის არსებობს თანამშრომლობა ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით. სექტორებს შორის კოორდინაციისთვის, ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელ სამინისტროში შეიძლება არსებობდეს უწყებათაშორისი კომიტეტი. ალტერნატივის სახით, შეიძლება არსებობდეს ახალგაზრდობის საქმეებზე წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კოორდინაციაზე. მართალია, თეორიულად არსებობს დიდი საჭიროება სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობისა (მათ შორის, სამინისტროებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობის), თუმცა პრაქტიკაში ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

რა ურთიერთობა არსებობს თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრუქტურებს შორის სხვადასხვა დონეზე? როგორ უჭერს სახელმწიფო მხარს ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებას? როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი სხვადასხვა რეგიონებში ან მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებული მომსახურებების მდგრადობა? არსებობს თუ არა რაიმე მრავალსექტორული ორგანო, რომელიც მონიტორინგს უწევს თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებას? იციან თუ არა ახალგაზრდულმა მუშაკებმა ან ახალგაზრდებთან მომუშავე სხვა სპეციალისტებმა ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩარჩოს შესახებ?

წარმატების გასაღები

რა უნდა გაითვალისწინოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისას?

ეფექტიანი და მიზანმიმართული ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ასპექტებია:

- ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი მკაფიოდ განსაზღვრული სამთავრობო ორგანო, რომელსაც შეუძლია სამუშაოს გაძღოლა, მართვა, კოორდინაცია და კონსოლიდაცია;
- ბენეფიციარი ახალგაზრდების მკაფიოდ განსაზღვრული ჯგუფი, მაგალითად, კონკრეტული ასაკობრივი ფარგლებით და/ან იმ სამიზნე აუდიტორიით, რომელზეც გათვლილია პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- კონკრეტული და გამჭვირვალე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების ანგარიშვალდებულებასა და ძალისხმევას ახალგაზრდობის პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით;
- ცოდნის ბაზა, მაგალითად, ახალგაზრდების განსახვავებულ საჭიროებათა ანალიზი, კვლევითი და სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღებული ემპირიული ინფორმაცია;
- ხედვა, რომლის თანახმადაც ახალგაზრდები წარმოადგენენ რესურსს და არა პრობლემას, და რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების მხარდაჭერას და მათი უფლებამოსილებებით აღჭურვას, რათა მათ შეძლონ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებაში პოზიტიური როლის შესრულება.
- ახალგაზრდების ნამდვილი მონაწილეობის მნიშვნელობის რწმენა, ანუ ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის განხორციელების პროცესში, ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- ახალგაზრდობის პოლიტიკასთან მიმართებაში სექტორთაშორისი მიდგომა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს როგორც ახალგაზრდულ, ისე სხვა სექტორებს, რომლებმაც გარკვეული როლი უნდა შეასრულონ ახალგაზრდების ცხოვრებაში.
- ცალკე სტაბილური ბიუჯეტი, ვინაიდან პოლიტიკის განხორციელებას ესაჭიროება მდგრადი, მიზნობრივი და საკმარისი რესურსების არსებობა.
- ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებულ სტრუქტურებს შორის დამყარებული კავშირები, ყველა აქტორის კომპეტენციისა და ვალდებულების აღიარება და თანამშრომლობისკენ სწრაფვა.
- საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა, სტანდარტების, რეკომენდაციებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით. *(ადაპტირებული დენსტადისგან 2009).*

ახალგაზრდობის პოლიტიკის განხილვისას, ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ როგორ არის ის ორგანიზებული, ვინ ახორციელებს მას, რა ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ პირველ რიგში - რამდენად ეფექტიან და რელევანტურ ზემოქმედებას ახდენს ის ახალგაზრდებზე. ახალგაზრდობის პოლიტიკის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პოზიტიური ახალგაზრდობის პოლიტიკის ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდა და ნეგატიური ახალგაზრდობის პოლიტიკის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.

ვინ არის თქვენ შემთხვევაში ახალგაზრდობის პოლიტიკის მთავარი სამიზნე? (კონკრეტული ჯგუფი, კონკრეტული სიტუაცია, ყველა ახალგაზრდა, სხვა)? თქვენს შემთხვევაში რა ტიპის დოკუმენტებს ეყრდნობა ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნები? რატომ მოხდა თქვენთვის ნაცნობი რამდენიმე ახალგაზრდობის პოლიტიკის დამტკიცება? რა მიზნებს ემსახურებიან ისინი და ვის განიხილავენ სამიზნე აუდიტორიად? არსებობს თუ არა მიზნობრივი ბიუჯეტი ახალგაზრდობისთვის? ძირითადად რა მიზნით ხდება მისი გამოყენება? თქვენს შემთხვევაში, არსებობს თუ არა ახალგაზრდობის პოლიტიკის გამოყენების კარგი პრაქტიკა?

გზა ახალგაზრდობის პოლიტიკიდან მომსახურების მიწოდებამდე და არსებული პრაქტიკა

როგორ ზემოქმედებს ახალგაზრდობის პოლიტიკა ახალგაზრდებზე? ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში შესაძლებელია უამრავი სხვადასხვა პროგრამის ან ინტერვენციის წამოწყება მთელ რიგ თემებზე, როგორიცაა მონაწილეობა და მოქალაქეობა, უსაფრთხოება და თავდაცვა, სოციალური გარიყვის წინააღმდეგ ბრძოლა, ინფორმაცია და ახალი ტექნოლოგიები, მობილურობა და ინტერნაციონალიზმი, ცხოვრება მულტიკულტურულ საზოგადოებაში, პროფესიული ორიენტაცია, გართობა-დასვენება, თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, გარემოსდაცვითი საკითხები, სხვა. პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდეს ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებას, არაფორმალური განათლების პროგრამებს, ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციებს, შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის სქემებს, ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებას, სხვა.

ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ახალგაზრდული საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება ფართო სპექტრის სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და/ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდებისთვის, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ახალგაზრდული საქმიანობა, რომელსაც უზრუნველყოფენ ანაზღაურებით ან მოხალისეობრივ საწყისებზე მომუშავე ახალგაზრდული მუშაკები, ეფუძნება ახალგაზრდებსა და მოხალისეობრივ მონაწილეობაზე ორიენტირებული არაფორმალური სწავლისა და თვითგანათლების პროცესს. მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების მოტივირება და მხარდაჭერა, რათა ისინი კონსტრუქციული ცხოვრების გზას დაადგნენ და ამით ხელი შეუწყონ თავიანთ პიროვნულ და სოციალურ წინსვლასა და მთლიანი საზოგადოების განვითარებას (ევროპის საბჭო 2017).

მნიშვნელოვანი საკითხი ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში ახალგაზრდებთან მომუშავე პირების კომპეტენციასა და მისი შეძენის გზებს უკავშირდება. მაგალითად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდული მუშაკების მომზადებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდებისთვის გაწეული მომსახურებების მაღალი ხარისხი და ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობა. კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება ინფრასტრუქტურას, კერძოდ, არსებობს თუ არა ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების სწავლისა და საქმიანობისთვის საკმარისად უსაფრთხო და სათანადო სივრცეს.

როგორ არის ორგანიზებული თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელება? რა ინსტრუმენტებს იყენებს ახალგაზრდობის პოლიტიკა ახალგაზრდებზე ზემოქმედების მოსახდენად? რა ინსტრუმენტები არსებობს ახალგაზრდობის პოლიტიკის ადრესატამდე მისატანად? როგორ ხორციელდება ახალგაზრდობის პოლიტიკის სპეციალისტებისა და ახალგაზრდებთან მომუშავე პირების ტრენინგი?

ახალგაზრდობის პოლიტიკა ევროპულ და ეროვნულ დონეზე

ევროპაში ახალგაზრდობის პოლიტიკა ეროვნულ დონეზე ყალიბდება ქვეყნის პრიორიტეტებისა და რეალობების შესაბამისად, მაგრამ ხშირად ახალგაზრდობის პოლიტიკის შთაგონების წყაროს წარმოადგენს კონკრეტული მისიისა და მანდატის მქონე ორგანიზაციების - ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს თემატიკა და პრიორიტეტები.

ევროკავშირი

ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია (2019-2027) სამ ძირითად განზომილებას ემყარება: ჩართულობა, კავშირი და უფლებებით აღჭურვა. სტრატეგია ხელს უწყობს დემოკრატიულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობას (ჩართულობა); ის ხელს უწყობს ნებაყოფლობით მონაწილეობას, სასწავლო მობილობას, სოლიდარობასა და ინტერკულტურულ განათლებას (კავშირი) და მხარს უჭერს ახალგაზრდების უფლებებით აღჭურვას ხარისხის, ინოვაციისა და ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების გზით (უფლებებით აღჭურვა). სტრატეგიის მიზანია კავშირი დაამყაროს ყველა ახალგაზრდასთან და ევროკავშირის პროგრამები უფრო ინკლუზიური გახადოს ნაკლები შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. სტრატეგია ითვალისწინებს ახალგაზრდებთან დიალოგს, რომელსაც შედეგად მოჰყვა ევროპის ახალგაზრდობის 11 მიზნის განსაზღვრა.

ეს მიზნები მიიღწევა ახალგაზრდობის კონკრეტული პროგრამების მეშვეობით, როგორიცაა ერასმუს + და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამა. სტრატეგია ეფუძნება ეფექტიან, ფოკუსირებულ და მრავალსექტორულ საფუძველზე განხორციელებას, ევროკავშირის რამდენიმე პროგრამისა და ფონდის მობილიზებისა და ყველა დონეზე სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოთა შორის ერთობლივი სასწავლო აქტივობების ჩატარებას, ეროვნულ დონეზე არსებული ინფორმაციის გაზიარებას, ევროკავშირის ახალგაზრდულ დიალოგს და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის სხვა ფორმებს, ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგიის პლატფორმას და რეალურ მონაცემებზე დამყარებულ ინსტრუმენტებს. ახალგაზრდობის საკითხებზე ევროკავშირის კოორდინატორი წარმოადგენს ევროკომისიის საკონტაქტო პირს და ავტორიტეტულ ინსტანციას ახალგაზრდებისთვის.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკა ამჟამად განსაზღვრულია სტრატეგიულ დოკუმენტში „დღის წესრიგი 2020“, რომელიც ითვალისწინებს ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტებს 2020 წლამდე: ადამიანის უფლებები და დემოკრატია; თანაარსებობა მრავალფეროვან საზოგადოებაში; ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია. ევროპის საბჭო მხარს უჭერს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ სტანდარტებზე დაფუძნებულ ახალგაზრდობის პოლიტიკას, რომელიც ფოკუსირებულია მონაწილეობაზე, ინტეგრაციაზე, უფლებებზე, ახალგაზრდულ საქმიანობასა და მობილობაზე, და რომელიც ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ევროპის, როგორც ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე დაფუძნებული საზოგადოების, მშენებლობაში.

ევროპის საბჭო ხელს უწყობს ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების მიზნით მთავრობათშორის და საერთაშორისო თანამშრომლობას და წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს მხარდამჭერი ღონისძიებების ჩატარებას საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. ეს ღონისძიებები მოიცავს სემინარებსა და არაფორმალური სასწავლო აქტივობების მეშვეობით უნარ-ჩვევების განვითარებას, ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო ანალიზს, გამოცდილების გასაზიარებლად განხორციელებულ მივლინებებს, თანატოლთა სწავლებას, დამოუკიდებელ ექსპერტიზას ან შეფასებას, სასწავლო ვიზიტებს და საკონსულტაციო მისიებს. სხვა ღონისძიებები მოიცავს ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებას ევროპული ახალგაზრდული ფონდის მეშვეობით და ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრებში უნარ-ჩვევების გაძლიერების პროგრამების განხორციელებას.

ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საკითხებზე პარტნიორობა

ევროკომისია და ევროპის საბჭო მათ შორის ჩამოყალიბებული პარტნიორობის მეშვეობით ერთობლივად მუშაობენ ახალგაზრდობის სფეროში ახალგაზრდობაზე ორიენტირებულ აქტივობებს შორის სინერგიის გაძლიერების მიზნით. მაგალითად, ევროკავშირი-ევროსაბჭოს ახალგაზრდული პარტნიორობა აგროვებს და ავითარებს ცოდნას ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის ხელშესაწყობად, კერძოდ, ისეთ თემებზე, როგორიცაა ახალგაზრდების მონაწილეობა, სოციალური ინტეგრაცია და ახალგაზრდული საქმიანობა.

როგორ უკავშირდება ევროპულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკა ახალგაზრდობის პოლიტიკას ეროვნულ დონეზე თქვენს ქვეყანაში?

როგორ ხდება კავშირების დამყარება ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე?

გამოწვევები

ახალგაზრდობის პოლიტიკა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. ზოგიერთი გამოწვევა თანამედროვე რეალობას უკავშირდება და ისინი (მაგ. ახალგაზრდების დაუსაქმებლობა, ძალადობრივი ექსტრემიზმი) ახალგაზრდობის პოლიტიკის მეშვეობით უნდა აღმოიფხვრას. სხვა გამოწვევები პერიოდულად ჟღერდება ახალგაზრდობის პოლიტიკის გარშემო მიმდინარე დისკურსში, კერძოდ:

- სახელმწიფო ხელისუფლებას ახალგაზრდობის პოლიტიკასთან მიმართებაში რეალური ვალდებულებები არ გააჩნია. პროგრამები და ღონისძიებები გაფანტულ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა სფეროებზეა გადანაწილებული. შეიძლება „რაიმე“ უკავშირდებოდეს ახალგაზრდობას, მაგრამ თანმიმდევრული მიზნები არ არსებობს.
- ახალგაზრდობის პოლიტიკა ეყრდნობა პოლიტიკურ იდეოლოგიას ან მიმდინარე ინტერესებს, ზოგჯერ ის იქცევა პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტად, ახალგაზრდების მდგომარეობის, საჭიროებების ან უფლებების გათვალისწინების გარეშე.
- არ არსებობს ახალგაზრდული სტრატეგიების განხორციელების მექანიზმები და რესურსები.
- ახალგაზრდობის პოლიტიკის განსაზღვრისას და განხორციელებისას, ერთმანეთთან კოორდინაციაში არ არიან სხვადასხვა უწყებები ან სახელმწიფო ორგანოები, მაშინაც კი თუ მათ სამიზნე ჯგუფს ქმნიან ახალგაზრდები, რომელთა პრობლემებიც დაკავშირებულია რამდენიმე სფეროსთან.
- ახალგაზრდები არ მონაწილეობენ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში. ახალგაზრდობის ჩართულობის შემთხვევაში, პოლიტიკის დღის წესრიგი უკვე განსაზღვრულია და მათი აზრი მხედველობაში არ მიიღება, ან მონაწილე ახალგაზრდების ჯგუფი უფლებამოსილად არ მიიჩნევა.
- ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები არასაკმარისად არიან მომზადებულნი ახალგაზრდებთან მუშაობისთვის.
- არ არსებობს დამოუკიდებელი მონიტორინგი და/ან შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგებს მიაღწია ახალგაზრდულმა პოლიტიკამ და რა კუთხით აღმოჩნდა წარუმატებელი, ან კიდევ რა საჭიროებები უნდა დაარეგულიროს მან. ადგილი აქვს პროგრამების დუბლირებას ისე, რომ არ არსებობს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ.

რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას ახალგაზრდობის პოლიტიკა თქვენს ქვეყანაში/რეგიონში? რომელ ძირითად საკითხებს უნდა მიანიჭონ პრიორიტეტი თქვენს ქვეყანაში/რეგიონში ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა პირებმა?

- როდესაც ახალგაზრდობის პოლიტიკა ითვალისწინებს (ახალგაზრდული) ორგანიზაციების ან სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების სქემებს, ამ სქემებზე ხელი არ მიუწვდება ყველა ორგანიზაციას;
- არასაკმარისი მომზადება აქვთ გავლილი ახალგაზრდებთან/ახალგაზრდებისთვის მომუშავე ისეთ სპეციალისტებს, როგორიცაა ახალგაზრდული მუშაკები, ახალგაზრდობის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციების გამცემი პირები, ან პედაგოგები.
- პრობლემად რჩება ახალგაზრდობის პოლიტიკის გავრცელების მასშტაბი. პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის იმ ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც ისინი შეიქმნა. სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა შეზღუდულია და ახალგაზრდებს მცირე ადგილი ეთმობა.

ლიტერატურა:

ევროპის საბჭო (2008), "ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მომავალი: 2020წლის დღის წესრიგი" ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-8 კონფერენციის დასკვნითი დეკლარაცია, კიევი, უკრაინა, 2008 წლის 10-11 ოქტომბერი

ევროპის საბჭო (2015), მინისტრთა კომიტეტის ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაცია CM/Rec(2015)3

დაუცველი რაიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომის შესახებ, მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, მინისტრების მოადგილეების 1217-ე შეხვედრაზე, 2015 წლის 21 იანვარს

ევროპის საბჭო (2017), მინისტრთა კომიტეტის წევრი ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაცია CM/REC(2017)4 ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ

დენსტად ფ.ი. (2009), ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელო: როგორ შევიმუშავოთ ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგია, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი.

ევროკომისია (2015), ახალგაზრდობის შესახებ ევროკავშირის ანგარიში 2015, https://publications.europa.eu/s/dmAG

ევროკომისია (2017), ახალგაზრდული საქმიანობის გაუმჯობესება – თქვენი მეგზური ხარისხის გაუმჯობესებისთვის,
https://publications.europa.eu/s/dlxm

ევროპის ახალგაზრდობის ფორუმი (2016), ახალგაზრდობის პოლიტიკის ხარისხის სტანდარტების სახელმძღვანელო

ლორიტზენი, ჰ. (2008), კვერცხი ტაფაზე - პიტერ ლორიტზენის გამოსვლები, ჩანაწერები და მოსაზრებები, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი

ევროკავშირის საბჭოს რეზოლუცია და საბჭოს ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრა ახალგაზრდობის სფეროში ევროპული თანამშრომლობის ჩარჩოს შესახებ: ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია 2019-2027, OJ C 456, 18.11.2018

სიურალა, ლ. (2006), ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპული ჩარჩო, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი

უილიამსონი, ჰ. (2002), ევროპაში ახალგაზრდების მხარდაჭერა: პრინციპები, პოლიტიკა და პრაქტიკა, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი

უილიამსონი, ჰ. (2008), ევროპაში ახალგაზრდების მხარდაჭერა (ტომი 2) ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი

უილიამსონი, ჰ. (2017), ევროპაში ახალგაზრდების მხარდაჭერა (ტომი 3): მომავლის ხედვა, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი

ევროპის ახალგაზრდული მიზნებისადმი მიძღვნილი სპეციალური ვებსაიტი სხვადასხვა ევროპულ ენებზე: http://www.youthgoals.eu/

ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთი ძირითადი ასპექტის გააზრება მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდულმა პოლიტიკამ გადაჭრას ახალგაზრდობის წინაშე მდგარი პრობლემები.

როგორ შეიძლება პოლიტიკამ ახალგაზრდები აქტიურ მოქალაქეებად აქციოს? როგორ შეიძლება პოლიტიკა ახალგაზრდებს საზოგადოებაში ინტეგრაციასა და თავიანთი მისწრაფებებისა და პოტენციალის რეალიზებაში დაეხმაროს? ყველა ეს მნიშვნელოვანი შეკითხვა იმ პერიოდს ეხება, როდესაც ახალგაზრდები ზრდასრულობაში გადასვლის რთულ გზას გადიან და ამავე დროს სოციალურ ცვლილებათა მხარდამჭერებად გვევლინებიან.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უდიდესი როლი ეკისრებათ ისეთი სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც ახალგაზრდებს შესძენს შესაძლებლობებს და გამოცდილებას, დაეხმარება მათ წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ამასთან, ხელს შეუწყობს მათ, რომ ჩამოყალიბდნენ საზოგადოების აქტიურ და პასუხისმგებლიან წევრებად, ცვლილებათა მამოძრავებელ ძალად.

ეს პუბლიკაცია სთავაზობს ახალგაზრდობის პოლიტიკით დაინტერესებულ პირებს მისი მთავარი საკითხების, პრინციპების, მიდგომების და გამოწვევების მიმოხილვას.

http://youth-partnership-eu.coe.int
youth-partnership@partnership-eu.coe.int

PREMS 058219

ENG

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე. ის აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, რომლებიც ევროკავშირის წევრებიც არიან. ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს თავიანთი ნოუ-ჰაუს, რესურსებისა და ბედის ერთმანეთთან დაკავშირება. მათ ერთობლივად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და, ამავე დროს, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, შემწყნარებლობა და ინდივიდუალური თავისუფლებები.
ევროკავშირი მზადაა თავისი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ხალხს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ.

http://europa.eu

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE